

ლიტერატურა
და

სელთუწებსა



1992 წ. № 1/2

საქართველოს მეცნიერებათა
აკადემია
ერთა რუსთაველის სახელობის მართული
ლიტერატურის ინსტიტუტი
პირები რუბინაშვილის სახელობის მართული
ხელნაწების ინსტიტუტი

სარჩევი

კულტურის თეორია	
დომინიკო თუმანიშვილი — ხელოვნების ნაწარმოების შე- ფასების განზომილებანი	5
მაქს ვებერი — მეცნიერება, რე- გორც მოწოდება და პროფესია (თარგმნა თ. ჩხენკელი)	11
კულტურის ისტორია	
ედუარდ ხოშტარიაძე — ქართული საისტორიო მწერ-	

„მეცნიერება“
1992

3. P. Кенія. Особенности декоративного искусства окладов евангелий Грузии. Т. 6, 1983.
4. Е. Привадова. Роспись Тимотеуцаин. Т. 6, 1978.
5. G. On di s. Iconographie byzantine du crucifie mort sur la croix, B—4, 1947.
6. Forger und Müller, Kreuz und Kreuzigung in ihrer Künstenwicklung, Strassburg, 1894.
7. Bela Lazar, Die beiden Wurzeln der Kreuzifixdarstellung, Strassburg, 1912.
8. Thob y. Le Crucifix, Nantes, 1959.
9. G. Schönermark, Der Kreuzifixus, 1908.

კახა ხიმშიაშვილი

არმაზისკვერის ანტიკური ხანის ნამუშევარი

ამირეჯავასის ერთ-ერთი უძველესი დასახლება, კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე ანტიკური და შუა საუკუნეთა ხანების ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. ქალაქის არქიტექტურული კომპლექსის ჩამოყალიბება ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში დაიწყო და ძირითადად დასრულდა გვიან ელინისტურ ხანაში, თუმცა გამოქვაბულთა ცალკეული ჯგუფები შემდგომაც ემატებოდა. საბოლოო სახით ეს არის რამდენიმე ჰექტარზე გადაჭიმული მეტად შთამბეჭდავი ხუროთმოძღვრული ანსამბლი.

უფლისციხის ნაქალაქარზე შემორჩენილ კომპლექსებს შორის აღსანიშნავია ე. წ. აივანი კომპლექსების ჯგუფი. ეს კომპლექსები „შემდგენიანია: ფასადის მხრიდან ღია (უმეტეს შემთხვევაში კამარით დაგვირგვინებული) სათაესი, რომლის უკან ან სამ მხარეს განლაგებულია გაცილებით დაბალი, ბრტყელჭერა ოთახები; ხშირად კამაროსანი სათაესის უკან მდებარე ოთახის ჭერი შექმნილია კლდეში ნაკვეთი ხის გადახურვის კონსტრუქციის იმიტაციით ანდა კესონებით; ნაგებობის წინ ეზოა, რომელიც არქიტექტურული კომპოზიციის ორგანული ნაწილია“.

უფლისციხის ამ კომპლექსებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე პატალეოლოგიის ძიების დროს ჩვენს ყურადღება მიიბრუნა არმაზისკვერის 1937—1947 წლებში გამოვლენილმა

1 კ. ხიმშიაშვილი, უფლისციხის კლდეში ნაკვეთი კომპლექსების ერთი ჯგუფი, ძეგლის მეგობარი 1986, № 3, გვ. 59.

ანტიკური პერიოდის ნაგებობათა ნაშთებმა². ესენია: ზღუჩ-ბლიანი, ოჩხენაყიანი და ერთსენაყიანი ნაგებობები.

მოკლედ აღვწერთ ამ ნაგებობებს (ეყვარდნობით მცხეთა I-ში გამიქვეყნებულ მასალებს).

ზღუჩბლიანი ნაგებობა გაითხარა არმაზისხევის ცნობილი კალიგრაფიკული აბანოს სამხრეთ-აღმოსავლეთით. იგი აბანოდან 13 მეტრითაა დაშორებული. გამოიყენებოდა ორი სათავსი, რომელთა გრძივი დერძი აბანოს გრძივი დერძის პარალელურია და დამხარობილია აღმოსავლეთ-დასავლეთით.

პირველი სათავსი (როგორც მას გამოიხარებენ უწოდებენ, რადგან იგი პირველად გაითხარა) ანუ სენაყი მოზღვუდულია სამი კედლით აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხრიდან, ხოლო სამხრეთის მხრიდან იგი პრაქტიკულად მიუღწეველია. მას მხოლოდ სამეტრიანი მცირე შევრდები გააჩნია სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში.

სათავსის ფართობია 47,25 კვ. მ (7X6,75 მ), ე. ი. იგი გეგმაში კვადრატს უახლოვდება. კედლების სისქე ვარიირებს 1,60 და 1,50 მ შორის.

სათავსის ჩრდილოეთ კედლის ცენტრში გაითხარა კარის დიობი, სადაც in situ აღმოჩნდა ქვიშაქვისაგან გამოთლილი ზღუჩბლი (სწორედ ამ ყველაზე თვალშისაცემი ელემენტის გამო მიიღო ნაგებობამ სახელი „ზღუჩბლიანი“), რომლის ორივე მხარეს შემორჩენილია ისეთივე ქვიშაქვისაგან დამზადებული კარის ამყარების ძეგლები ნაწილები.

ვათხრების მსგევლობისას იპოვნეს ამ კარის ზღუდარის ანუ კარის თავის ორი ნატიხი, რომლებიც მშენებლებად მოეზღნენ ერთმანეთს. ეს ნატიხები სამარხის კედლებად იყო გამოყენებული ანუ დაფიქსირდა მათი მეორადი გამოყენების ფაქტი ნაგებობის დანგრევის შემდეგ.

2 ა. აფაქიძე. გ. გომბეჯიშვილი, ა. კალანდარიანი. ლ. მ. თათოძე. მცხეთა. არქეოლოგიური ძეგლები. შიგნითა და გარე. I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937—1947 წწ. ვანახარის მიხედვით. თბილისი, 1955 (შემდგომში ტექსტში მიუთითებთ, როგორც მცხეთა I); ა. აფაქიძე. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. I, თბილისი, 1963.

პირველი სათავსის დასავლეთ კედლიდან იატაკის დონეზე თან ახლოს აღმოჩნდა ძალზე უემონახული კორინთული ორდერის კაპიტელი და კოლონის ტორუსიანი ბაზა.

ზღუჩბლიანი ნაგებობის მეორე სათავსი ანუ სენაყი პირველზე ოდნავ დიდია. მისი ფართობია 55,3 კვ.მ (8,2X6,75 მ). ამ სათავსის აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლები დანარჩენ კედლებზე უფრო ვიწროა (1,28 მ).

ვათხრების დროს ვერ მოხერხდა მეორე სათავსო შესასვლელი კარის დიობის დაფიქსირება.

მეორე სათავსის (სენაყის) აღმოსავლეთ კედელს ებმის თანადროული სამი კედელი, მაგრამ ამ კედლების მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია გამოვლენილი. მთელი ნაგებობა აგებულია ნატიხი ქვით დუღაბზე და გადახურული ყოფილა კრამიტით, რომლებიც (როგორც სოლენები, ასევე კალიბრები) მხოლოდ გამოვლენდა როგორც სათავსებში, ასევე მის გარეშე.

ორსენაყიანი ნაგებობა აღმოჩნდა 1940 წელს № 1 (ასპარეუგისა) და № 2 (დელა-შვილის) მდიდრული სამარხების გარეშე მოთხრობისას.

ორსენაყიანი ნაგებობა შედგება ორი სათავსისაგან და დამხარობილია აღმოსავლეთ-დასავლეთ დერძზე. აღმოსავლეთის სათავსი — 36 კვ. მ (6X6 მ) უფრო დიდია, ვიდრე დასავლეთისა, რომლის ფართობია 18,24 კვ. მ (იხ. მცხეთა I და ა. აფაქიძის „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“, თუშცა ორივეგან სათავსის შიდა ზომებად მითითებულია 6X4,8 მ).

ორსენაყიანი ნაგებობის აღმოსავლეთ სათავსს, ისევე როგორც ზღუჩბლიანი ნაგებობის პირველ სენაყს, სამი კედელი ზღუდავს (ჩრდილოეთისა, დასავლეთისა და სამხრეთისა). აღმოსავლეთის მხარეს კი იგი დიაა (კედლის ნაცვლად სიმეტრიულად განლაგებული მცირე შევრდები).

სწორედ ამ დია, აღმოსავლეთის სათავსო აღმოჩნდა № 1 და № 2 სამარხების გამოართული. სამარხები იმდენად დრზად იყო ჩადგმული, რომ ნაგებობის „საპირკვევილი ჩადის სახურავის დონემდე“.

ორსენაქიან ნაგებობაშიც ვერ მოხერხდა კარის დიობების დაფიქსირება. არც ის ვიცით, თუ რითი და როგორ იყო გადახურული ნაგებობა (მცხეთა I, რამელშიც დეტალურადაა აღწერილი გათხრები, არაფერია ნათქვამი ამის შესახებ, განსხვავებით სხვა ნაგებობების აღწერებისაგან, სადაც ხაზგასმითაა მითითებული კრამილყილის აღმოჩენის შემთხვევები). გათხრების ძირითადი უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გამოივლინდა ზემოთ აღწერილი ნაგებობის თანადართული ერთენაქიანი ნაგებობა, რომლისგანაც ასევე მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი. კერძოდ, გადარჩენილია აღმოსავლეთის კედლის ქვედა ნაწილი სრულად (8 მ), ჩრდილოეთისა (5 მ) და სამხრეთის (8 მ) კედლების ნაწილები. ნაგებობის დასავლეთის ნაწილი მთლიანად განადგურებულია. ერთსენაქიანი ნაგებობაც ისევე, როგორც დანარჩენები აგებული იყო ნატეხი ქვით კირის დუღაბზე. იგი გადახურული იყო ყოფილა კრამილყით.

აქმაზისხევის აბანოსა და ზემოთ მოყვანილ ნაგებობებს გამოთხრებები, ჩვენი აზრით სრულიად სამართლიანად, ერთსენაქიანულ ძეგლად მიიჩნევენ, რადგან, როგორც ისინი აღნიშნავენ, მათ აერთიანებთ „ისეთი მომენტები, როგორცაა: ფენების ტექნიკა, სიენი მასალა, სახურავის რაგვარობა, და ზოგჯერ, დეკორატიული გაფორმებაც“ (მცხეთა I, გვ. 164). ამასთან, მათი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო ერთიანი ანსამბლი, რომელიც „ერთსენაქიან სასახლის კომპლექსის“ ნაშთებს უნდა წარმოადგენდეს. არც ეს დეტალები იწვევს ეჭვს თუმიცა უნდა დაუზღუდოთ, რომ ცალსახად, ავტორთა მიერ ფუნქციები განსაზღვრულია მხოლოდ აბანოსთვის და ზღურფლიანი ნაგებობისათვის, ერთსენაქიანი ნაგებობის დანიშნულება, ავტორთა აზრით, გაურკვეველია. რაც შეეხება ორსენაქიან ნაგებობას, ისინი წერენ, რომ: „თითქმის შეუძლებელია მათი ნაგებობის, ისინი წერენ, რომ: „თითქმის შეუძლებელია მათი ნაგებობის თავდაპირველი სახისა და დანიშნულების შესახებ. გვიჩვენებდა მისი ვადაჭრით მიჩნევა წართულ საკულტო ნაგებობად (რომელიც შემდეგ მიცვაობის შემთხვევაში დაუზღუდავად და მასზე აღმოცენებულ სამების აგებული განსასვენებლად და მასზე აღმოცენებულ სამ-

კოცევილად, თუ სამარხების ირგვლივ შემოვლებულ გარე ნადა“ (მცხეთა I, გვ. 164).

შემდეგ ისინი აგრძელებენ: „როგორც არ უნდა ვადაწყდეს ნაგებობის თავდაპირველი დანიშნულების საკითხი, მისი და ერთსენაქიან სამარხების ზოგადად თანადროულობა საქველი არ უნდა იყოს, ხოლო სამარხები, როგორც ვიცით, საკმაოდ სარწმუნოდ არის დათარიღებული. კერძოდ, ამ ნაგებობაში მოქცეული (თუ ვიზიტი, მისით გარშემორტყმული) ორი სამარხიდან უახლესი (№ 2) ეკუთვნის ახ. წ. III საუკუნის მეორე ნახევარს“ (მცხეთა I, გვ. 164).

აქედან გამომდინარე, ავტორების აზრით, კომპლექსი განადგურებული უნდა იყოს IV ს. დასაწყისისათვის. თუმიცა სხვაგან, აბანოსთან დაკავშირებით ისინი კიდევ უფრო აზუსტებენ თარიღს და აღნიშნავენ, რომ: „არმაზისხევის აბანოს თარიღი ექცევა ზოგადად ახ. წ. I—IV საუკუნებს შორის, მაგრამ პრაქტიკულად კი გაცილებით უფრო ვიწრო, სახელდობრ II—III სს. ფარგლებში, როდესაც აქმაზისხევიან ერთსენაქიანობის შემთხვევაში, ამ აბანოს პატრონები ცხოვრობდნენ“ (მცხეთა I, გვ. 159).

როგორც ვხედავთ, ძეგლის დათარიღება უკავშირდება მდიდრული № 1 და № 2 სამარხებს, რომლებიც აღმოჩნდნენ ორსენაქიანი ნაგებობის აღმოსავლეთ სთავსში. ვინაიდან ჩვენი შემდგომი მსჯელობისათვის პრაინციპული მნიშვნელობა აქვს სამარხთა მიმართებას ნაგებობასთან, ამიტომ დეტალურად გავჩერდებით ამ საკითხზე.

„მცხეთა I-ის“ ავტორები თუმიცადა ზოგადად უკავშირებენ ერთმანეთს სამარხებსა და ნაგებობას, მაგრამ თავს იკავებენ ნაგებობის ატრიბუციისაგან და რამდენიმე შესაძლებელ ვარიანტს გვთავაზობენ.

ა. აფაქიძეს წიგნში „ქალაქები და საქალქო ცხოვრება ძველ საქართველოში“ უკვე უცვლელად ფაქტად მიაჩნია ნაგებობის განსაზღვრა „აკლამად ანუ მარხოლურუმიად თუ ეკლდარად“ და აგების თარიღს უკავშირებს სამარხების გათხრას, ამასთან ვარაუდობს, რომ ნაგებობა აგებული უნდა იყოს № 1 სამარხის (სამარხის) დაკრძალვის დროს, ე. ი. ახ. წ. II ს. მეორე ნახევარში (იხ. მით. ნაშრ., გვ. 111—112).

გვეგონია, რომ არ უნდა იყოს მართებული ნაგებობის აგებისა და სამარხების გამართვის ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირება. ჩვენი აზრით, სამარხები ჩაიდგა უკვე დანგრეულ, განადგურებულ ნაგებობაში და შესაბამისად მათზე დაყრდნობით შეიძლება ვიხსენიოთ ნაგებობის არსებობის მხოლოდ ზედა ზღვარზე.

ამგვარი ვარაუდის სამართლიანობაზე მიუთითებს შემდეგი მომენტები:

1. მიუხედავად გულმოდგინე ძიებისა, სპეციალურ ლიტერატურაში ვერსად ვერ მივაქვლიეთ მსგავსი გვეგებობების ანუ ცალმხრივ ღია მავზოლეუმის ან აკლამის ტიპს (ა. აფანუხის მიერ მოყვანილ ანაზომზე ნაგებობის აღმოსავლეთი ქიძის მიერ მოყვანილ ანაზომზე ნაგებობის ადრეინდოა წყვეტილი ხაზით [გვ. 91, კედელი პირობითად აღდგენილია წყვეტილი ხაზით [გვ. 71] და ჰოგორც ტექსტიდან ჩანს, ავტორი უშეუბამ კედლის არსებობას. „მცხეთა I-ის“ ავტორები მხოლოდ შემოკლებულ მიხედვით ამ კედლის არსებობას, თუცა მისი საძირკვლის კვლიც კი ვერ აღმოაჩინეს. ჩვენ გვეგონია, რომ ძირკვლის კვლიც კი ვერ აღმოაჩინეს. ჩვენ გვეგონია, რომ იგი თავიდანვე ღია იყო, ამაზე უნდა მეტყველებდეს ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეებში შემორჩენილი სიმეტრიული უგებობები, რომლებიც დასრულებული ფორმისაა). მსგავსი აკლამის ტიპი, როგორც ჩვენი ცნობილია, მხოლოდ ჰაფლავონის კლდეში ნაკვეთ აკლამებშია დადასტურებული, მაგრამ იქ მოცემულ მონაცემებს ათავსებდნენ არა ღია სათავსოში, არამედ მის უკან გაშვებულ კამერაში, ასე რომ, არც აღმოსავლურ და არც დასავლურ სამყაროში მიცვლებულ შემთხვევებში არც დასავლურ და სათავსოში.

2. სამარხები ძალზე დრამატიკული სათავსო. შეფასებებით, რომ მათი სახურავების სიმაღლე აღწევდა ნაგებობის სიმაღლის ძირს. არც სამარხების აკლამებში ღრმად ჩადგმის პრაქტიკაა ჩვენი ცნობილი.

3. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, № 2 სამარხი (ქალისა და ბავშვის) თარიღდება სავსადა დასაჯრებულად მოხეტეების

³ Leonhard R. Paphlagonia: Peissen und Forschungen in Nordlichen Kleinastien. Berlin, 1915.

საფუძველზე ახ. წ. III საუკუნის მეორე ნახევართ. ასევე დათარიღებული ორქონიანი ნაგებობის შორისახლოს, მისთან სამხრეთით, აღმოჩენილი № 3 (ბერსუმ პიტოახისის) სამარხი, რომლის დათარიღებაც აგრეთვე არ იწვევს ეჭვს. ბერსუმ პიტოახისის სამარხის იატაკად, როგორც ჩანს, გამოყენებული იყო არმაზისხევის აბანოს იატაკის კერამიკული ფილები (ბერსუმ პიტოახისის სამარხის ძირად და აბანოს იატაკად ნახმაზია იდენტური ზომის კერამიკული ფილები (0,60 X 0,60 X 0,30 მ) — შეადარეთ ერთმანეთს მცხეთა I-ში გვ. 47, სადაც აღწერილია სამარხის კონსტრუქცია და გვ. 151, სადაც მოყვანილია აბანოს იატაკის ზომები (ჩემნიმდე ამ ფაქტს ყურადღება თ. ქარუმიძემ მიაქცია) ანუ საქმე გვაქვს ფილებების მეორედ გამოყენებასთან, ე. ი. იმ დროს, როცა ბერსუმ პიტოახისის სამარხი გამოათეს, აბანო და შესაბამისად დანარჩენი ნაგებობები (რადგან იგულისხმება ხანძრისაგან მათი ერთდროული განადგურება) დასრულებული იყო. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვამტყიცოთ, რომ № 2 (№ 3 სამარხის სინქრონული) სამარხის გამართვის დროს, კომპლექსი უკვე განადგურებული იყო და იგი ნანგრევებში ჩადგეს.

4. ყურადღებას მივაპყრობთ იმ ფაქტს, რომ ორქონიანი ნაგებობის აღწერაში არსად არაა ფიქსირებული ბურთულის კონსტრუქციის, მაგალითად კრამიტების აღმოჩენის ფაქტი, მაშინ როდესაც კრამიტური აღმოჩენა სხვა ნაგებობებშია და მათ გარშემო ხაზგასმითაა აღნიშნული გათხრების ანგარიშში. ეს კი, ჩვენი აზრით, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ სამარხების გამართვის დროს ნაგებობის ნანგრევები გამოასუფთავეს და სამარხები ისე ჩადგეს, ანუ იმ დროისათვის ორქონიანი ნაგებობა განადგურებული უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ბურთულის კონსტრუქციის ნაწილები დასაჯრების შემდეგ სამარხებზე უნდა ყოფილიყო დაყრდნობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გვეგონია, რომ საშაო საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ სამარხები და ნაგებობა არაა თანდარობა და, რომ მიუხედავად ქრონოლოგიური სიხლოვისა, სამარხები უკვე დანგრეულ ნაგებობაში ჩაიდგა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ არმაზისხევის პიტოახისა სასახლის კომპლექსი ახ. წ. II საუკუნე-

